აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 26

09/08/2016 წელი ქ. ბათუმი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
აჭარის ფილიალის წარმომადგენლის საჩივრის
განუხილველად დატოვების შესახებ

2016 წლის 08 აგვისტოს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის წარმომადგენელმა რაჟდენ ხიმშიაშვილმა მომართა უმაღლეს საარჩევნო კომისიას და მოითხოვა უცხო ქვეყნის მოქალაქის წინასაარჩევნო აგიტაციაში შესაძლო მონაწილეობის გამო სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე უარის თქმის შესახებ №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 6 აგვისტოს N02-44 გადაწყვეტილების (წერილობითი პასუხი) ბათილად ცნობა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის წარმომადგენლის მოთხოვნა ბათილად იქნეს ცნობილი №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 6 აგვისტოს N02-44 გადაწყვეტილება (წერილობითი პასუხი) და დაწყებული იქნას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმის წარმოების უსკოს მიერ ვერ იქნება განხილული, ვინაიდან საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 93-ე მუხლი იმპერატიულად განსაზღვრავს წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის წესების დარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილ პირებს. კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, აგრეთვე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილი პირები (თანამდებობის პირები).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის წარმომადგენლის საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“

ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. განუხილველად დარჩეს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის წარმომადგენელის რაჟდენ ხიმშიაშვილის საჩივარი №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 6 აგვისტოს N02-44 გადაწყვეტილების (წერილობითი პასუხი) ბათილად ცნობისა და წინასაარჩევნო აგიტაციაში უცხო ქვეყნის მოქალაქის მონაწილეობის გამო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების თაობაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სოფიო კახაძე

კომისიის მდივანი

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე